ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N27

სხდომის ჩატარების თარიღი: 2024 წლის 25 მარტი, 15:00 საათი
სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობა, სხდომათა დარბაზი, რუსთაველის გამზ.N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის N27 სხდომას თავმჯდომარეობს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე.

ესწრებოდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: კომისიის თავმჯდომარე ბაქარ მახარაძე.

კომისიის წევრები:
გია ბასილაძე, ელეონორა არჩაია, ამირან კოპალეიშვილი, პაატა ლილუაშვილი, ზაქრო მამასახლისი, მარეხი ნიჟარაძე, მაია სიმონიძე, მერაბ ჭოხონელიძე,

სულ: 16 წევრიდან 9 წევრი.

არ ესწრებოდნენ:

გიორგი კილაძე, გაგა მანაგაძე, დავით ბახტაძე, რომან ქვაჩაკიძე, კობა გურული, დარეჯან ფხაკაძე, ირაკლი შენგელია.

სულ: 7 წევრი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე, ბ-ნი **მ.ხიდაშელი**, მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის განყოფილების უფროსი ბ-ნი **ა.ტყაბლაძე**, სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი, ბ-ნი **ვ. გობეჯიშვილი**, ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების" ხელმძღვანელი, ბ-ნი **თ.არსენიძე**, ა(ა)იპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" ხელმძღვანელი, ბ-ნი **დ.წიტაიშვილი**, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი ბ-ნი **დ.ნიშნიანიძე**.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბაქარ მახარაძემ:** „მოგესალმებით მეგობრებო, როგორც მოგეხსენებათ, დღეს ჩვენ ვატარებთ საფინასო-საბიუჯეტო კომისიის მორიგ, სხდომას. დღის წესრიგი და მასალები კომისიის წევრებთან წინასწარ გადმოიგზავნა. დღის წესრიგს დავუმატებთ ერთ საკითხს, ეს არის ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2024-2025 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელზეც ჩვენ

დიდი ხანია ვმუშაობთ USAID-თან ერთად და დღეს საბოლოო ვარიანტს წარმოგიდგენთ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბაქარ მახარაძემ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის N26 სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების
სამსახურის ხელმძღვანელი

.

2. ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების" მიერ მიერ 2023 წლის გაწეული მუშაობისა და 2024 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ;

ბატონი თენგიზ არსენიძე
ა(ა)იპ „სპეციალური სერვისების" დირექტორი

3. ა(ა)იპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" მიერ 2023 წლის გაწეული მუშაობისა და 2024 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ;

ბატონი დავით წიტაიშვილი
ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორი

4. ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2024-2025 წწ.)

ბატონი ბაქარ მახარაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

ღია კენჭის ყრით ერთხმად, დაადგინეს.

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში"

(დანართი ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე: „კარგი იყო 2023 წელი. ფაქტიურმა შესრულებამ

შეადგინა 117 711.5 ათასი ლარი. დღის წესრიგის პირველი საკითხის შესახებ დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას ვთხოვთ სამსახურის უფროსს, ბატონ დ.ნიშნიანიძეს".

მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დ.ნიშნიანიძე: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2022 წლის 28 დეკემბერს, ქალაქ ქუთაისის საკრებულოს N55 დადგენილებით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში შევიდა 5 ცვლილება და წლის ბოლოს დაზუსტებულმა გეგმამ 131 146.8 ათასი ლარი შეადგინა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებიდან და მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებიდან მოწოდებული ინფორმაციისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის და მიღწეული შედეგების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ. მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 131 146.8 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 130 262.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 99.3%. 2023 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 23 528.1 ათასი ლარი. ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 90 771,0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 86 267,8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 73,3%-ია. აქედან დამატებული ღირებულების გადასახადის სახით შემოულია 55,456.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,8%-ია. ფაქტიური შემოსავლები ქონებიდან გადასახადზე შეადგენს 12,461.4 ათას ლარს. სხვა შემოსავლების ნაწილში დაფიქსირდა 13,891.2 ათასი ლარი. შეუსრულებლობა ძირითადად განაპირობა შემდეგმა მუხლებმა: სანებართვო მოსაკრებლები - 468.2 ათასი ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები-1,463.4 ათასი ლარი, შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 326.5 ათასი ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები- 563.0 ათასი ლარი. გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 129 893,7 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 113 660,6 ათასი ლარი.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 8 721,7 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 8 673.0 ათასი ლარი. „სუბსიდიების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა: სატრანსპორტო კომპანია, კალათბურთის განვითარება, ქალთა ფეხბურთისა და ფუტსალის

განვითარება, რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის ფუნქციონირების ხელშეწყობა, სპორტული ღონისძიებები და კულტურის ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პრიორიტეტები:

- ინფრასტრუქტურის განვითარება- 31803,0 ათასი ლარი;
- განათლება -21 093,2 ათასი ლარი;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 24 848,7 ათასი ლარი;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა- 10593,9 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 7 498,0 ათასი ლარი;
- საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა - 1 1134,5 ათასი ლარი;
- ეკონომიკა - 1 379,8 ათასი ლარი.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი მ.სიმონიძე: „მმართველობის ხარჯების ზრდა ხელფასების ზრდამ გამოიწვია თუ რაიმე სხვა მიზეზიც არის?"

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დ.ნიშნიანიძე: „დიახ, ძირითადად ხელფასების ზრდა. გარდა ამისა, ამ ნაწილში შედის სესხები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები და სხვა ხარჯები. ამდენად, ეს მუხლი არ მოიაზრებს მხოლოდ ადმინისტრაციულ ხარჯებს და ხელფასებს".

კომისიის წევრი მ.სიმონიძე: „განათლების დაფინანსებაში ხარჯების ზრდა რამ გამოიწვია?"

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დ.ნიშნიანიძე: „ძირითადად ხელფასების ზრდა და რეაბილიტაცია-რემონტების ხარჯები".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „კულტურის სფეროს დაფინანსებამ 93% შეადგინა. რა მ გამოიწვია თანხების აუთვისებლობა ამ ნაწილში?"

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დ.ნიშნიანიძე: „კულტურის სფეროში სხვადასხვა პროგრამები ხორციელდება და შეიძლება ითქვას, ეს არის სხვადასხვა პროგრამებში „ჩარჩენილი თანხები", რომლებიც ნაშთის სახით გადმოვიდა მიმდინარე წლის ბიუჯეტში".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების კუთხით ხომ არ არის რაიმე პროგრამა, რაც ვერ განვახორციელეთ?"

სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი, ვ. გობეჯიშვილი: „მცირედი ხარვეზებია ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური განვითარების პროგრამასა და ბავშვის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებში. განსაკუთრებით გაგვიჭირდა მეორე პროგრამის განხორციელება, რომელიც მოიცავს სათამაშოების, წიგნების და სხვა აუცილებელი ნივთების გადაცემას შეჭირვებულ ოჯახებზე. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ბაზარი არ აღმოჩნდა მზად, ჩვენთვის მომსახურება გაეწია. ამ პროგრამის განხორციელებაში არსებულ ნაკლოვანებებს მიმდინარე წელს დავძლევთ".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „ხომ არ დაგვაკლდა თანხები რომელიმე პროგრამაში?"

სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი, ვ. გობეჯიშვილი: „ბოლო წლებში მოგვიწია ზოგიერთ პროგრამაში თანხების გადატანა, ზოგიერთი დაფინანსება გაიზარდა (მაგ.,

აუტიზმის, სამედიცინო დახმარების). თანხების დეფიციტი პროგრამების განხორციელებაში არ გვქონია".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „შემოსავალმა მოსაკრებლიდან დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შეადგინა 3570,2 ათასი ლარი. წლევანდელი გეგმა კიდევ უფრო მეტია. შეძლეთ მის შესრულებას?"

მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის განყოფილების უფროსი ა.ტყაბლაძე: „პირველი კვარტალი ძალიან კარგად დავიწყეთ და შევასრულებთ გეგმას. პროცესი კარგად მიმდინარეობს და ალბათ შევძლებთ გეგმის შესრულებას".

კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე: „ადრე გვქონდა პრაქტიკაში გამაფრთხილებელი ქვითრები და ხომ არ ფიქრობთ მათ გამოყენებას?"

მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის განყოფილების უფროსი ა.ტყაბლაძე: „დიახ, ვაპირებთ აღნიშნულ ღონისძიებას. პირველად ეს 2017 წელს გავაკეთეთ და 200 ათასი ლარი დამატებითი შემოსავალი მოგვცა".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „ინფრასტრუქტურის განვითარებაზე დაიხარჯა 31803,0 ათასი ლარი, ხოლო გეგმა იყო 39260,3 ათასი ლარი. რამ განაპირობა ეს მდგომარეობა?"

მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე მ.ხიდაშელი: „მოგეხსენებათ, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას კალენდარული წელი და პროექტების დახურვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. რიგი პროექტებისა გადმოვიდა მიმდინარე წელსაც, რამაც განაპირობა აღნიშნული მაჩვენებელი".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „პროცენტიდან შემოსავლები (გეგმით იყო 1 მლნ ლარი) მცირეა გეგმასთან მიმართებით. რამ განაპირობა აღნიშნული?

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დ.ნიშნიანიძე: „ჩვენ ხელშეკრულება გვაქვს TBC ბანკთან წლიური გათვლით, ნაშთზე არსებული თანხის 14,7%-ის ოდენობით, რაც ავტომატურად გვერიცხება. სამწუხაროდ, ამ თანხამ მხოლოდ 594 ათასი ლარი შეადგინა".

კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე: „მინდა გამოვხატო მადლიერება საფინანსო სამსახურის მიმართ, მათ მიერ გაწეული თავდადებული მუშაობისათვის.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარეს კომისიის წევრებმა.

მომხრე - 9, წინააღმდეგი - არც ერთი.

ღია კენჭისყრით **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად".

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხი - ააიპ „სპეცსერვისების" მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობისა და 2024 წლის დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ;

(დანართი ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „დღის წესრიგის მეორე საკითხის შესახებ დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას ვთხოვთ ააიპ-ის ხელმძღვანელს, ბატონ თ.არსენიძეს".

ააიპ „სპეცსერვისების" ხელმძღვანელი თ.არსენიძე: „2023 წლისათვის ა(ა)იპ „სპეციალური სერვისებში" დაიგეგმა საბიუჯეტო პროგრამის სახსრების გამოყენება ჯამში 7 190 000 ლარის ოდენობით (03.01 - ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა) და საკუთარი სახსრების გამოყენება 1 მლნ ლარის ოდენობით. აქედან ორგანიზაციამ ასიგნების სახით გამოიყენა 7 147 002 .26 ლარი და 662 813.16 ლარი საკუთარი სახსრებიდან.

ა(ა)იპ „სპეციალური სერვისებმა" დამატებით მიიღო 1 065 806.32 ლარის შემოსავალი (დამატ. მომსახურება ურნების გამოყენებით - 1 001 319.54 ლარი; სხვა დამატებითი მომსახურებიდან - 6 620.0 ლარი; ცხოველთა თავშესაფარში გაწეული მომსახურებით - 17 138.0 ლარი; დეზინფექცია დერატიზაციის მომსახურებიდან - 14 773.68 ლარი; მაკულატურის რეალიზაციით - 24 735.10 ლარი და სხვა შემოსავლები - 1220.0 ლარი).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილ იქნა საყოფაცხოვრებო ნარჩენი დაახლოებით 53 482.40 ტონა. დაიგვა და დასუფთავდა - 864 093 700.0 m^2 ქალაქის ქუჩები და ადმინისტრაციული შენობა. მოირწყა და ჩაირეცხა 1 800 000 m^2 ქალაქის ქუჩა, ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით ქალაქში რამოდენიმეჯერ თოვლისაგან გაიწმინდა ქუთაისში არსებული ხიდები, ქუჩები, საფეხმავლო ტროტუარები, რისთვისაც გაიხარჯა 17,5 ტონა ტექნიკური მარილი და 74,24 m^3 ქვიშა.

დაიწნეხა ქალაქის ტერიტორიიდან მოპოვებული 291 შეკვრა მუყაო და 11 შეკვრა პლასმასი, 2022 წლიდან ნაშთის სახით გადმოგვყვა 34 შეკვრა მუყაო და 18 შეკვრა პლასმასი. აქედან 300 შეკვრა მუყაო გაიყიდა და ორგანიზაციამ დამატებით შემოსავლების სახით მიიღო 24 735.1 ლარი.

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის კომპოსტირების სამსახურმა 2023 წლისათვის შეძლო ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე ხეების გადაბელვითა და სხვლა-ფორმირების შედეგედ მიღებული მწვანე ნარჩენების დაქუცმაცების შედეგად 60,6 ტონა საკომპოსტე მასალა გადაამუშავა (2022 წლიდან გადმოსული საკომპოსტე მასალა 74 ტ და 2,5 ტ მზა კომპოსტი).

გადაიბელა და სხვლა-ფორმირება ჩაუტარდა - 505 ძირ ხეს. მოიჭრა გამხმარი და სტიქიით დაზიანებული - 197 ძირი ხე. დაიმორა 256 m^3 საშეშე მერქანი, რითაც დაკმაყოფილდა 171 ბენეფიციარი. სულ მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნით შესრულდა 355 დაგეგმილი სამუშაო.

უმეთვალყურეო ცხოველების თავშესაფარში შემოყვანილ იქნა 1683 ძაღლი, 32 ლეკვი და 57 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. გაჩუქდა 101 ძაღლი, 23 ლეკვი და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ მფლობებლებს დაუბრუნდათ 56 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ევთანაზია გაუკეთდა 118 ძაღლს. ბუნებრივად გარდაიცვალა 16 ძაღლი. ოპერაცია ჩაუტარდა 1505 ძაღლს, აიცრა 1549 და ბუნებრივ არეალში გაიშვა 1486 ძაღლი. დამატებით კერძო მოსახლეობიდან შემოყვანილი შინაური ცხოველების მომსახურებიდან ორგანიზაციამ მიიღო 17 138 ლარი.

ქვეწარმავლების საწინააღმდეგოდ შეიწამლა 40 250 გრძ/მ მიწის ფართობი. მღრღნელების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 1 261 894 m^2 ტერიტორია. დეზინსექცირდა, დეზინფექცირდა

სპეციალური რეაგენტებით შეიწამლა და ლიკვიდირებულ იქნა 97 კრაზანის ბუდე და 161 403 m^2 ფართობი, ასევე შეიწამლა 580 სველი წერტილი და დამუშავდა 120 ერთეული სპორტული ლეიბი, დაიქლორა 209 000 ლიტრი წყლის სამარაგე ავზები.
გაიწმინდა - 34 355 გრძივი/მეტრი სანიაღვრე არხი. ამოიწმინდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა - 2101 ჭას და ცხაურს. ბალახისაგან გაითიბა - 884 330 m^2 ფართობი. შესრულდა - 391 სხვა დამატებითი სამუშაო. დამონტაჟდა - 45 ცალი სანიაღვრე ჭა და ცხაური. სულ შესრულებული სამუშაოების რაოდენობა არის 1304.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „რა მდგომარეობაა ნაგავმზიდის შეძენის მიმართულებით, რომელზეც 133 ათასი ლარი გაქვთ გამოყოფილი?
ააიპ „სპეცსერვისების“ ხელმძღვანელი თ.არსენიძე: „ორ მანქანას მაისში მივიღებთ, დანარჩენებზე ბაზრის კვლევა მიმდინარეობს“.
კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე: „ნარჩენების ურნებზე რა მდგომარეობაა?“
ააიპ „სპეცსერვისების“ ხელმძღვანელი თ.არსენიძე: „100 ურნას დავამატებთ ახლო მომავალში“.
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „რა ჯდება ერთი ურნის შეძენა?“
ააიპ „სპეცსერვისების“ ხელმძღვანელი თ.არსენიძე: „ლითონის ბუნკერი, გალვანიზებული ჯდება 1700 ლარი“.
კომისიის წევრი მ.სიმონიძე: „სპეცმანქანების შეძენით ქალაქს მოეხსნება პრობლემა?“
ააიპ „სპეცსერვისების“ ხელმძღვანელი თ.არსენიძე: „დიახ, ვცდილობთ მოვხსნათ პრობლემები. ამასთან, ტექნიკის ნაწილი გარემონტდება. ჩვენ გვესაჭიროება სხვადასხვა სიდიდის ტექნიკა ყველა უბანზე შესასვლელად, თუმცა ამ უბნებზე ერთნაირი სიხშირით არ შევდივართ“.
კომისიის წევრი მ.სიმონიძე: „კერძო სექტორიდან თუ შემოდის თქვენთან დამატებითი მოთხოვნები“.
ააიპ „სპეცსერვისების“ ხელმძღვანელი თ.არსენიძე: „დიახ, ბევრ სუბიექტს ჭირდება არასტანდარტული მომსახურება და შესაბამისად, მათთან ვაფორმებთ დამატებით ხელშეკრულებას, რაც ჩვენ დამატებითი შემოსავლის მიღების საშუალებას გვაძლევს“.
კომისიის წევრი ა.კოპალეიშვილი: „კარგია, რომ 100 ურნის შეძენა მოხერხდა. მოსახლეობასთან მიმდინარე შეხვედრებმა ამის საჭიროებაში დაგვარწმუნა, თუმცა როგორც ჩემთვის ცნობილია, მოსახლეობიდან მოსაკრებლის ამოღება ძალიან მცირეა“.
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ფაქტიურმა ხარჯმა 2023 წელს 662,7 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2024 წელს ამისათვის გაცილებით ნაკლები თანხებია გათვალისწინებული. რამ განაპირობა აღნიშნული?“
ააიპ „სპეცსერვისების“ ხელმძღვანელი თ.არსენიძე: „დიახ, ასეა, მაგრამ დანარჩენს საკუთარი შემოსავლებიდან შევავსებთ“.
კომისიის წევრი მ.სიმონიძე: „ღვარსადენების მოვლა-პატრონობის კუთხით რა ხდება?“
მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე მ.ხიდაშელი: „მნიშვნელოვანი საკითხია ქალაქისათვის. ტენდერი გამოვაცხადეთ 1 მლნ.ლარზე, მაგრამ არ შედგა. ღვარსადენების მოვლა-პატრონობა აუცილებელია“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „საკითხი კომპლექსურ მიდგომას ითხოვს. ერთია საკანალიზაციო სისტემა, მეორეა ღვარსადენების მოწესრიგება. პარალელურ რეჟიმში უნდა მოგვარდეს ორივე. ღვარსადენების მოვლა-პატრონობას რაც შეეხება, თანხაც დავამატეთ, შევიძინეთ სპეცმანქანა, რომელსაც მაქსიმალურად გამოვიყენებთ სამუშაოებისათვის".

კომისიის წევრი ე.არჩაია: „თბილისში დენის, გაზის და დასუფთავების საფასური „მიბმულია" ერთმანეთთან. ქუთაისში ამის გაკეთება თუ არის შესაძლებელი?"

ააიპ „სპეცსერვისების" ხელმძღვანელი თ.არსენიძე: „ჩვენ შევისწავლეთ ეს საკითხი და ჩვენთან რიგი პირობების გამო არ მოხერხდება ამ მოდელის დანერგვა".

კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე: „რა მდგომარეობა გვაქვს გათიბვებთან დაკავშირებით და თუ ვართ მზად ამისათვის მოახლოებულ სეზონთან დაკავშირებით?"

ააიპ „სპეცსერვისების" ხელმძღვანელი თ.არსენიძე: „გამოყოფილია თანხა. თუ არ გვეყოფა ჩვენი ძალები, დამატებით ხელშეკრულებებს გავაფორმებთ".

კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე: „მინდა გამოვხატო ჩემი პოზიტიური განწყობა ამ ორგანიზაციის მხრიდან. ისინი მაქსიმუმს აკეთებენ თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში".

კომისიის წევრი ე.არჩაია: „მეც მეთანხმები და ვიზიარებ ქალბატონი მარეხის განწყობას".

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარეს კომისიის წევრებმა.

მომხრე - 9, წინააღმდეგი - არც ერთი.

ღია კენჭისყრით **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

„ააიპ „სპეცსერვისების" მიერ 2023 წლის გაწეული მუშაობისა და 2024 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნას მიღებული".

მოისმინეს:

დღის წესრიგის მესამე საკითხი - ააიპ ა(ა)იპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობისა და 2024 წლის დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ

(დანართი ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „დღის წესრიგის მესამე საკითხის შესახებ დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას ვთხოვთ ააიპ-ის ხელმძღვანელს, ბატონ დ.წიტაიშვილს".

ააიპ ა(ა)იპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" ხელმძღვანელი დ.წიტაიშვილი: „ჩვენმა ბიუჯეტმა შეადგინა 19127 ათასი ლარი, საიდანაც მხოლოდ 13 ათასი ლარი ვერ დავხარჯეთ. მიმდინარე წელს ბიუჯეტი 20 263 ათასი ლარია. ბუნებრივია, ბიუჯეტის ყველაზე დიდი ნაწილი - 15,5 მლნ ლარი მოდის შრომის ანაზღაურებაზე და 2,4 მლნ ლარი კვების ხარჯებზე. შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით ყველა ბაღში მოწესრიგებულია ყველაფერი, მაგრამ ეტაპობრივად ვცდილობთ გავაკეთოთ. სასწავლო-

აღმზრდელობითი პროცესი და კვება მოწესრიგებულია. სულ რეგისტრირებულია 8000 აღსაზრდელი, თუმცა, რეალური გამოცხადება 4200-5000 ბავშვია“.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი მ.ჭოხონელიძე: „ბაღებში საკვების მიტანა ყოველდღიურად ხდება?“
ააიპ ა(ა)იპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ხელმძღვანელი დ.წიტაიშვილი: „რაც მალფუჭებადია, ყოველდღე მიგვაქვს, რაც არა - კვირაში ერთხელ. მომწოდებელი შეიძლება შეიცვალოს“.
კომისიის წევრი მ.სიმონიძე: „მოწმდება თუ არა აღრიცხვა და საკვების ნორმები?“
ააიპ ა(ა)იპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ხელმძღვანელი დ.წიტაიშვილი: „დიახ, რა თქმა უნდა. რამდენჯერმე ხდება აღრიცხვა, რადგან ოთხჯერადი კვებაა. საკვების მომზადება ჩვენს მიერ ხდება. მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი ჩვენი სპეციალისტების მიერ.
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „ყურადღებას იპყრობს წყლის ხარჯი, რომელიც ელექტროენერგიის ხარჯს უტოლდება. რა იწვევა ამას, წყალქცევები ხომ არ არის?“
ააიპ ა(ა)იპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ხელმძღვანელი დ.წიტაიშვილი: „წყალქცევები ხომ არ არის. წყალს ვიყენებთ გათბობაზე და ასევე ჭურჭლის რეცხვაზე. მოგეხსენებათ, ოთხჯერადი კვებაა და წყლის ხარჯიც მაღალია“.
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „ახალი ბაღის დასრულება როდის იგეგმება?“
ააიპ ა(ა)იპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ხელმძღვანელი დ.წიტაიშვილი: „სექტემბრისათვის იგეგმება“.
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „რამდენი ბაღის რეაბილიტაცია ხდება?“
ააიპ ა(ა)იპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ხელმძღვანელი დ.წიტაიშვილი: „ოთხი ბაღის რეაბილიტაცია, რომელზეც 16 მლნ ლარია გამოყოფილი. ორი მათგანის უკვე დაწყებულია“.
კომისიის წევრი მ.სიმონიძე: „სათამაშოებს თქვენ იძენთ ბაღებისთვის?“
ააიპ ა(ა)იპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ხელმძღვანელი დ.წიტაიშვილი: „დიახ. ჩვენ ვიძენთ, მაგრამ არსებული მკაცრი სტანდარტებიდან გამომდინარე, ხშირად იშლება ტენდერები ამ სტანდარტების დაუკმაყოფილებლობის გამო“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარეს კომისიის წევრებმა.

მომხრე - 9, წინააღმდეგი - არც ერთი.

ღია კენჭისყრით **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

„ააიპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ მიერ 2023 წლის გაწეული მუშაობისა და 2024 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნას მიღებული“.

„ააიპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ მიერ 2023 წლის გაწეული მუშაობისა და 2024 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნას მიღებული“.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2024-2025 წწ.)“-ის დამტკიცება.

(დანართი ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ამ დოკუმენტზე ჩვენ დიდი ხანია ვმუშაობთ USAID-თან ერთად და დღეს საბოლოო ვარიანტს წარმოგიდგენთ. ვფიქრობთ, თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, ეს იქნება საზედამხედველო ნაწილში ჩვენი კომისიის გაძლიერების კარგი ბერკეტი და საშუალება“.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე: „ძალიან კარგია, რომ ამ დოკუმენტს სახელმძღვანელოდ იღებს ჩვენი კომისია და ჩვენ ვართ პირველები ამ მხრივ“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარეს კომისიის წევრებმა.

მომხრე - 9, წინააღმდეგი - არც ერთი.

ღია კენჭისყრით **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს „ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2024-2025 წწ.)“ წარმოდგენილი რედაქციით.

ამით კომისიის ოცდამეშვიდე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე

ბაქარ მახარაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

2024-2025

დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ PMCG და შესაძლოა რომ არ გამოხატავდეს USAID-ის ან შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

2024 წელი

შინაარსი

თავი 1. შესავალი 3

თავი 2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მუშაობის პრაქტიკა 5

კომისიის უფლებამოსილებები 5

საბიუჯეტო პროცესი და კომისია 6

თავი 3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები 8

სტრატეგიული მიზანი 1. საბიუჯეტო პროცესში კომისიის ეფექტიანი მონაწილეობა 8

სტრატეგიული მიზანი 2. კომისიის საზედამხედველო საქმიანობის გაუმჯობესება 110

სტრატეგიული მიზანი 3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინსტიტუციური გაძლიერება 132

სტრატეგიული მიზანი 4. მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა 154

სტრატეგიული მიზანი 5. კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა 176

სამოქმედო გეგმა 2024-2025 18

თავი 1. შესავალი

ქუთაისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2024-2025 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიზანია საქართველოს კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილებების ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობა. სტრატეგიით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულება კიდევ უფრო გაზრდის კომისიის როლს მუნიციპალიტეტის საჯარო ფინანსების ეფექტურად მართვის პროცესში, უზრუნველყოფს კომისიის საზედამხედველო ფუნქციების მაღალკვალიფიციურ შესრულებას, ხელს შეუწყობს კომისიის ინსტიტუციურ გაძლიერებასა და ანგარიშვალდებულებას, ამასთან გაზრდის საზოგადოების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სტრატეგიული დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა მომზადდა საჭიროებათა კვლევის საფუძველზე.

გაანალიზდა შემდეგი დოკუმენტები:

- ქ. ქუთაისის საკრებულოს რეგლამენტი;
- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულება;
- ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო სამსახურის დებულება;
- საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის გეგმა-გრაფიკი;
- საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წლიური ანგარიში;
- საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის ოქმები.

ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები:

- ქ. ქუთაისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წარმომადგენლებთან;
- ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წარმომადგენლებთან;
- მუნიციპალიტეტში მოქმედი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.

სტრატეგია ეფუძნება კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებულ პრიორიტეტულ მიმართულებებს:

- კომისიის ინსტიტუციური განვითარება;
- საბიუჯეტო პროცესში ჩართულობა;
- საზედამხედველო საქმიანობა;

- საკრებულოში შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესება;
- საბიუჯეტო ორგანიზაციებთან კოორდინაცია;
- დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია;
- ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა.

თავი 2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მუშაობის პრაქტიკა

კომისიის უფლებამოსილებები

მუნიციპალიტეტის საკრებულის **საფინანსო-საბიუჯეტო კომისია** წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც იქმნება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლით, საკრებულოს რეგლამენტითა (დადგენილება #1; 2014 წლის 14 ივლისი) და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებით (დადგენილება #4; 2014 წლის 16 ივლისი) დადგენილი წესით.

კომისია შექმნილია საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელისშეწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს, მერიის სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით.

ქუთაისის საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით განსაზღვრულია კომისიის უფლებამოსილებები:

საჯარო ფინანსების მართვის სფერო:

- საბიუჯეტო სახსრების გამოყენების შემდეგ ახორციელებს მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ კვარტლურად ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესრულების კონტროლს;
- ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური და კვარტალური შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცებისას საკრებულოს წარუდგენს დასკვნას;
- საკრებულოს წარუდგენს დასკვნებს მის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით;
- ბიუჯეტის პროექტზე ამზადებს დასკვნას და წარუდგენს საკრებულოს;
- განიხილავს წლიური ბიუჯეტის შესრულებას, ამზადებს დასკვნას და კომისიის თავმჯდომარე მომხსენებლად გამოდის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის დროს.

ზედამხედველობის სფერო:

- მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის კონტროლი კომპეტენციის სფეროს ფარგლებში;

- ისმენს საკრებულოსადმი ანგარიშვალდებულ ორგანოთა და თანამდებობის პირთა ანგარიშებს;
- განიხილავს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის, სამოქმედო გეგმის, და სხვა დოკუმენტებს და შეიმუშავებს დასკვნებს;
- აკონტროლებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებას კომპეტენციის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს;
- ახორციელებს კონტროლს შემოსავლების ადგილობრივ ბიუჯეტთან შესაბამისობის თაობაზე, მათ შორის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანისას.

ინსტიტუციური განვითარება:

- კომისიის თავმჯდომარე წელიწადში ერთხელ მაინც საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და წელიწადში ერთხელ მაინც ადგენს და აქვეყნებს კომისიის მუშაობის ანგარიშს;
- კომისიის გადაწყვეტილებით კომისიასთან შესაძლოა შეიქმნას საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შედგება შესაბამისი დარგის კომპეტენტური, სათანადო გამოცდილების მქონე, მოწვეული ექსპერტ-კონსულტანტებისაგან.
- საკონსულტაციო საბჭო კომისიის თავმჯდომარის წინადადებით წინასწარ განიხილავს კომისიის სხდომაზე განსახილველ საკითხებს შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და წინადადებებს. განიხილავს კომისიის გამგებლობას მიკუთვნებულ სფეროში არსებულ პრობლემებს და მათ გადაწყვეტის შესაძლო გზებს.
- საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, სამუშაო ჯგუფებისა და საკონსულტაციო საბჭოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას და საქმისწარმოებას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

კომისიის თანამშრომლობა მერიასთან და საბიუჯეტო ორგანიზაციებთან:

- საკრებულოს წარუდგენს მოსაზრებებს კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროს მიხედვით იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურებზე, რომლებსაც ირჩევს ან ნიშნავს საკრებულო;
- საკრებულოს წარუდგენს დასკვნებს მის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით;
- მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირები კომისიის მოთხოვნით ვალდებულნი არიან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა მასალები, დაესწრონ კომისიის სხდომებს, პასუხი გასცენ სხდომაზე დასმულ შეკითხვებზე და წარადგინონ გაწეული საქმიანობის ანგარიში.

კომისიის დებულების თანახმად საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე იწვევს და წარმართავს კომისიის სხდომას; მოქმედებს კომისიის სახელით; ანაწილებს ფუნქციებს კომისიის წევრებს შორის და აძლევს დავალებებს; ადგენს კომისიის სამუშაო გეგმას; განსაზღვრავს კომისიის საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობას; აკონტროლებს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

საბიუჯეტო პროცესი და კომისია

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 86-ე მუხლის თანახმად, პრიორიტეტების დოკუმენტი და ბიუჯეტის პროექტი, წინასწარი განხილვისათვის გადაეცემა საკრებულოს კომისიებს და ფრაქციებს. **საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა,** საკრებულოს სხვა კომისიების, საკრებულოს ფრაქციების, საკრებულოს წევრების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, იურიდიული პირების, მოქალაქეების წინადადებები, შენიშვნები და შეფასებები თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტის პროექტზე, არაუგვიანეს 25 ნოემბრის ბარდება საკრებულოს აპარატს, რომელიც უზრუნველყოფს შემოსული შენიშვნების, დასკვნებისა და წინადადებების რეგისტრაციას, სისტემატიზაციას და გადასცემს საკრებულოს თავმჯდომარეს. ბიუჯეტის პროექტზე გამოთქმული შენიშვნების არსებობის შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარე არა უგვიანეს 25 ნოემბრისა ბიუჯეტის პროექტს გამოთქმული ყველა შენიშვნით უბრუნებს მუნიციპალიტეტის მერს.

მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ დანიშნული უფლებამოსილი პირი მერიის საფინანსო სამსახურთან, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, საკრებულოს ფრაქციების წარმომადგენლებთან და შენიშვნის ავტორებთან ერთად განიხილავს **ბიუჯეტის პროექტზე გამოთქმულ შენიშვნებს და ბიუჯეტის პროექტის** იმავე ან შესწორებულ ვარიანტს შენიშვნებზე დასკვნასთან ერთად (რომელშიც აღინიშნება თითოეული შენიშვნა და ამ შენიშვნის მიღების ან უარყოფის დასაბუთება) არაუგვიანეს 10 დეკემბრისა წარუდგენს საკრებულოს.

საკრებულოს რეგლამენტის თანახმად, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნას საკრებულოს სხდომას აცნობს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ან ამ კომისიის მიერ დანიშნული მომხსენებელი (საკრებულოს რეგლამენტის მუხლი 87).

მერის მიერ ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის წარდგენის შემდეგ საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისია ამზადებს დასკვნას, რომელსაც საკრებულოს რეგლამენტის 90-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საკრებულოს აპარატს გამოსაქვეყნებლად წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.

საკრებულოს რეგლამენტის 90-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, **ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს** ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს საკრებულოს სხდომაზე წარადგენს მერი ან მის მიერ დანიშნული უფლებამოსილი პირი, რომელიც საკრებულოს სხდომას წარუდგენს ანგარიშთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნებზე ახსნა–განმარტებას. საკრებულო

თანამომხსენებლის ფორმით ისმენს დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნას და საჭიროების შემთხვევაში, საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნას, აგრეთვე საკრებულოს აპარატის უფროსის მოხსენებას საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებთან დაკავშირებით (საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ჩატარების შემთხვევაში).

<u>საფინანსო ნორმატიული აქტის პროექტზე კომისია ასევე ამზადებს დასკვნას.</u> საკრებულოს რეგლამენტის მუხლი 91-ის თანახმად, საფინანსო ნორმატიული აქტის პროექტად ითვლება ყველა ის პროექტი, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსებზე. ნორმატიული აქტის პროექტის ხასიათის საკითხს წყვეტს საკრებულოს ბიურო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და მერიის საფინანსო სამსახურის დასკვნების საფუძველზე. საფინანსო ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის დაწყებისათვის აუცილებელია მუნიციპალიტეტის მერის და **საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა** ამ ნორმატიული აქტის პროექტის ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსებზე გავლენის შესახებ.

კომისია წლის დასაწყისში ამტიკიცებს გეგმა-გრაფიკს, სადაც გაწერილია გეგმიურად ჩასატარებელი სხდომები. საკრებულოს რეგლამენტის თანახმად, კომისიის გადაწყვეტილებით, საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით შეიძლება ჩატარდეს კომისიის რიგგარეშე, ერთობლივი და გასვლითი სხდომები.

ცნობადობის ამაღლების მიზნით კომისია უფლებამოსილია:

- მოახდინოს მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტის შესრულების საჯარო განხილვა;
- უზრუნველყოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან საკონსულტაციო საბჭოს ფორმატში სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მაქსიმალური ჩართულობის;
- დანერგოს პრიორიტეტების დოკუმენტის საჯარო განხილვების ჩატარების პრაქტიკა;
- გააუმჯობესოს აკადემიური წრეების ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში.

თავი 3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

სტრატეგიული მიზანი 1. საბიუჯეტო პროცესში კომისიის ეფექტიანი მონაწილეობა

ამოცანა 1.1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში კომისიის ჩართულობის უზრუნველყოფა

მნიშვნელოვანია, კომისიის თავმჯდომარე იყოს მერის პირველი მარტის ბრძანებით შექმნილი პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის წევრი და აქტიურად მონაწილეობდეს ჯგუფის მუშაობაში. მერის მიერ 1 მარტის ბრძანების გამოცემამდე საკრებულოს თავმჯდომარე აღმასრულებელ ორგანოს წარუდგენს იმ უფლებამოსილ პირს(პირებს), ვინც საკრებულოს მხრიდან ჩაერთვება პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, მათ შორის კი პირველ რიგში, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურას.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის სამუშაო ჯგუფში ჩართულობა ხელს უწყობს კომისიის წევრებისა და საკრებულოს სხვა კომისიების ინფორმირებულებას პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების თაობაზე.

ამოცანა 1.2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მოქალაქეთა საჭიროებების იდენტიფიცირება, საკითხების პრიორიტეტიზაცია და საბიუჯეტო ინიციატივების მომზადება

პრიორიტეტების დოკუმენტში მოქალაქეთა საჭიროებების ასახვის მიზნით კომისია აანალიზებს როგორც სხვადასხვა გზით მიღებულ ინფორმაციას (წერილები, განცხადებები, საჯარო განხილვები, მოქალაქეთა მიღების დროს გამოთქმული საკითხები და სხვ.) და ასევე კოორდინაციას უწევს საკრებულოს მიერ საჭიროებათა კვლევის ჩატარებას და ანალიზს, ახდენს საკითხების პრიორიტეტიზაციას და აღმასრულებელი ორგანოსთვის მიწოდებას.

პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსიის მომზადებისა და განხილვის შემდეგ კომისია მუშაობს საბიუჯეტო ინიციატივებზე, რომელსაც პროგრამული ბიუჯეტის ფორმატში ამზადებს (პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება, განმახორციელებელი ორგანიზაცია, სავარაუდო ბიუჯეტი, მიზანი, აღწერა: *საკითხის მნიშვნელობა, აქტუალობის დასაბუთება, პრობლემის გამომწვევი მიზეზი, პირდაპირი და არაპირდაპირი ბენეფიციარების შესახებ ინფორმაცია, გადაჭრის გზები,* მოსალოდნელი საბოლოო/შუალედური შედეგი, შედეგის ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები, ცდომილების ალბათობა, რისკი).

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია უფლებამოსილია კოორდინაცია გაუწიოს მის კომპეტენციას მიკუთვნებული და სხვადასხვა კომისიების მიერ საკრებულოს აპარატისთვის მიწოდებული წინადადებებისა და ინიციატივების შეჯერებას. კომისიის დასკვნა მიეწოდება საკრებულოს აპარატს, რომელიც არეგისტრირებს დოკუმენტებს და გადასცემს საკრებულოს თავმჯდომარეს. თავის მხრივ, საკრებულოს თავმჯდომარე უზრუნველყოფს მერისთვის კომისიების მიერ მომზადებული რეკომენდაციებისა და საბიუჯეტო ინიციატივების მიწოდებას.

ამოცანა 1.3. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსიის საკრებულოში განხილვის ხელშეწყობა

პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფი 15 აგვისტოსთვის მერს წარუდგენს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვერსიას. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია უფლებამოსილია კოორდინაცია გაუწიოს პროირიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსიის გასაჯაროებას.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია უფლებამოსილია განიხილოს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვერსიას (შესაძლოა ასევე ჩატარდეს კომისიების გაერთიანებული სხდომა), აანალიზებს, რამდენად არის გათვალისწინებული საკრებულოს მიერ მიწოდებული რეკომენდაციები.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, მერიის შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უფლებამოსილია ორგანიზება გაუწიოს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსიის საჯარო განხილვის ჩატარებას. საჯარო განხილვის დროს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ დოკუმენტის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების შემდეგ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე წარადგენს კომისიის მიერ მომზადებულ და მერიაში წარდგენილ რეკომენდაციებს, აღნიშნავს, დოკუმენტში რა საკითხები იქნა ასახული. ამის შემდეგ ისმენენ მერიის პასუხს, ბიუჯეტის საბოლოო პროექტში საკრებულოს რეკომენდაციებიდან რა საკითხები იქნება გათვალისწინებული.

ამოცანა 1.4. საკრებულოში პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის კოორდინაცია

მუნიციპალიტეტის მერის მიერ საკრებულოში ფინანსური დოკუმენტების პირველადი წარდგენის შემდეგ (არა უგვიანეს 15 ნოემბრისა) საფინანსო-საბიუჯეტო კომისია კოორდინაციას უწევს კომისიური განხილვების პროცესს. ტარდება დარგობრივი კომისიების ერთობლივი სხდომები.

კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კომისიის ყველა წევრის თანაბარ ჩართულობას კომისიის მუშაობაში. სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლების მონაწილეობით ამზადებს რეკომენდაციებს.

კომისიის სპეციალისტების ჩართულობით განიხილავს და აჯერებს სხვა კომისიების მიერ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მიწოდებულ შენიშვნებს, ამზადებს საბოლოო რეკომენდაციებს, წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს.

კომისია აქტიურად არის ჩართული ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის ორგანიზებაში. საჯარო განხილვის დროს კომისიის თავმჯდომარე სიტყვით გამოდის, სადაც მონაწილეებს აცნობს კომისიის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს.

მერის მიერ საკრებულოში ბიუჯეტის პროექტის მეორე წარდგენის (10 დეკემბერი) შემდეგ კომისია განიხილავს შესწორებულ ვერსიას, კომისიის თავმჯდომარე ამზადებს დასკვნას და საჭიროების შემთხვევაში სიტყვით გამოდის საკრებულოს სხდომაზე.

კომისია განიხილავს მერის მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების პროექტს. კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კომისიის ყველა წევრის თანაბარ ჩართულობას კომისიის მიერ ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის განხილვაში, ამზადებს რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში სიტყვით გამოდის საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის განხილვის დროს.

სტრატეგიული მიზანი 2. კომისიის საზედამხედველო საქმიანობის გაუმჯობესება

ამოცანა 2.1. ბიუჯეტის შესრულების კონტროლი

კომისია უფლებამოსილია განიხილოს ბიუჯეტის კვარტალური შესრულების ანგარიშები. კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კომისიის ყველა წევრის თანაბარ ჩართულობას კვარტალური ანგარიშის განხილვის პროცესში.

კომისია უფლებამოსილია მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურს წერილობით მიმართავს, რათა კანონმდებლობით მოთხოვნილ კვარტალურ ანგარიშთან ერთად (შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან) წარუდგინოს პროგრამული შესრულების მოკლე მიმოხილვაც: პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელების დინამიკა და იმ დროისთვის მიღწეული სამიზნე მაჩვენებლები.

კომისია მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად განიხილავს წლიური ბიუჯეტის შესრულების მიხედვით პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შედეგებს, რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულება, არის თუ არა მიღწეული დაგეგმილი ინდიკატორები. კომისია ამზადებს რეკომენდაციებს და წარუდგენს საკრებულოს აპარატს.

საკრებულოს თავმჯდომარის სახელით აპარატი უზრუნველყოფს რეკომენდაციების აღმასრულებელი ორგანოსთვის მოწოდებას.

კომისია (საკრებულოს რეგლამენტისა და კომისიის დებულების შესაბამისად) განიხილავს საკრებულოში მერის მიერ წარდგენილ ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშს. კომისიის თავმჯდომარე ხელს უწყობს კომისიის ყველა წევრის თანაბარ ჩართულობას განხილვის პროცესში და ამზადებს დასკვნას.

საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის განხილვისას თანამომხსენებელია კომისიის თავმჯდომარე.

ამოცანა 2.2. აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადებული სხვადასხვა დოკუმენტების განხილვა და შესრულების მონიტორინგი

კომისია განიხილავს აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტებს, როგორიც არის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი, დარგობრივი სტრატეგიული დოკუმენტები, სამოქმედო გეგმები, გენერალური განვითარების გეგმა და სხვა დოკუმენტები. აღნიშნულ დოკუმენტებთან დაკავშირებით კომისია უფლებამოსილია მოამზადოს რეკომენდაციები და წარუდგიენოს საკრებულოს სხდომაზე დოკუმენტების განხილვის დროს.

კომპეტენციის ფარგლებში კომისიის თავმჯდომარე ჩართულია აღნიშნული დოკუმენტების მომზადების პროცესშიც.

კომისია გამოითხოვს აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადებული და საკრებულოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტების იმპლემენტაციის შესახებ ინფორმაციას და ისმენს შესაბამისი თანამდებობის პირის ანგარიშს. კომისია უფლებამოსილია მოამზადოს დასკვნები და წარადგენოს საკრებულოს სხდომაზე.

ამოცანა 2.3. მერიის სტრუქტურული ერთეულების ზედამხედველობის გაუმჯობესება

კომისია ამზადებს მერიის სტრუქტურული ერთეულების ანგარიშების მოსმენის განრიგს. კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კომისიის წევრების ინფორმირებას სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

კომისიის სხდომაზე იწვევენ მერიის სამსახურების უფროსებს. სხდომაზე თითოეულ წევრს აქვს სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა, საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

სამსახურის ანგარიშის მოსმენის შემდეგ კომისია საჭიროების შემთხვევაში ამზადებს რეკომენდაციებს, რომელსაც რეგლამენტის შესაბამისად უზიარებს საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც უგზავნის აღმასრულებელ ორგანოს.

ამოცანა 2.4. მერიის იურიდიული პირების ზედამხედველობის გაუმჯობესება

კომისია ამზადებს მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ანგარიშების მოსმენის განრიგს. კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კომისიის წევრების ინფორმირებას იურიდიული პირების ხელმძღვანელების ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

კომისიის სხდომაზე თითოეულ წევრს აქვს სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა, საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

იურიდიული პირების ანგარიშის მოსმენის შემდეგ კომისია საჭიროების შემთხვევაში ამზადებს რეკომენდაციებს და უზიარებს საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც უგზავნის აღმასრულებელ ორგანოს.

ამოცანა 2.5. აუდიტის ანგარიშების განხილვა

კომისია აქტიურად თანამშრომლობს მერიის შიდა აუდიტის სამსახურთან, ისმენს სამსახურის უფროსის ანგარიშს. კომისია საჭიროების შემთხვევაში ასევე განიხილავს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ დასკვნებს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია სხდომაზე განიხილავს სახელმწიფო აუდიტის ანგარიშს. სხდომაზე ასევე მოწვეული არიან ყველა იმ სამსახურების ან/და საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთა საქმიანობაც უარყოფითად იყო შეფასებული სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში. სხდომაზე გამოთქმული წინადადებების საფუძველზე მზადდება რეკომენდაციები.

კომისია ხელს უწყობს საკრებულოს სხდომაზე სახელმწიფო აუდიტის დასკვნის განხილვას. კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს წევრებს წარუდგენს მომზადებულ რეკომენდაციებს.

სტრატეგიული მიზანი 3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინსტიტუციური გაძლიერება

ამოცანა 3.1. კომისიის დებულების ცვლილება

კომისია განიხილავს საკრებულოს მიერ დამტკიცებულ კომისიის დებულებას, საჭიროების გათვალისწინებით ამზადებს ცვლილებების პროექტს და საკრებულოს განსახილველად წარუდგენს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით.

მიზანშეწონილია კომისიის დებულების ცვლილებაში სხვა ცვლილებებთან ერთად გათვალისწინებულ იქნას ინტერპელაციის უფლება. კერძოდ, კომისიას უფლება აქვს ინტერპელაციის წესით დააყენოს საკითხი საკრებულოს თავმჯდომარის, მერის ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციის თანამდებობის პირის წინაშე.

ამოცანა 3.2. კომისიაში თემატური სამუშაო ჯგუფების შექმნა

საჭიროების შემთხვევაში, კომისიის დებულების შესაბამისად, კომისია ქმნის თემატურ სამუშაო ჯგუფებს, რომელშიც უზრუნველყოფილია ყველა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლის ჩართულობა.

სამუშაო ჯგუფების შექმნა და უფლებამოსილება განისაზღვრება კომისიის დებულებით.

ამოცანა 3.3. შიდა კოორდინაციის ხელშეწყობა

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია საჭიროების შემთხვევაში სხდომაზე უფლებამოსილია განიხილოს მის საქმიანობას მიკუთვნებული აქტუალური საკითხები, პეტიციები, მოქალაქეთა საჩივრები და განცხადებები, თანამდებობის პირთა ახსნა-განმარტებები, ინფორმაციები და შემოწმებათა შედეგები. კომისია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით იღებს რეკომენდაციებს, დასკვნებს, წინადადებებს, ხოლო ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით – გადაწყვეტილებებს.

კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კომისიაში წარმოდგენილი ყველა პოლიტიკური ძალის თანაბარ მონაწილეობას კომისიის საქმიანობაში, მათ ინფორმირებულობას დაგეგმილი აქტივობების შესახებ და კოორდინაციას უწევს აპარატის მიერ კომისიის წევრებისთვის ყველა დოკუმენტის დროულად მიწოდებას.

კომისია აქტიურად თანამშრომლობს საკრებულოს დარგობრივ კომისიებთან, ფრაქციებთან და ბიუჯეტის საკითხებზე უზრუნველყოფს მათ ინფორმირებულობას.

კომისია ასევე ეფექტურად თანამშრომლობს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან.

ამოცანა 3.4. კომისიის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების უნარების გაძლიერება

კომისიის წევრებისა და აპარატის თანამშრომელთა უნარების გაძლიერების მიზნით ტარდება საჭიროებების კვლევა.

კვლევის ორგანიზებას და კომისიის წევრებისა და აპარატის თანამშრომლობის კვლევაში მონაწილეობას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი, კოორდინაციას უწევს კომისიის თავმჯდომარე, რომლის ჩართულობითაც მზადდება კვლევის კითხვარი. კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს საჭიროებათა კვლევის შედეგების კომისიისთვის გაცნობას.

საჭიროებათა კვლევის შედეგების საფუძველზე იგეგმება შესაბამისი ტრენინგების თემატიკის განსაზღვრა და ჩატარება.

საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებულ ტრენინგებში მონაწილეობენ როგორც კომისიის წევრები, ასევე სხვა დარგობრივი კომისიების წევრები და აპარატის თანამშრომლები.

ამოცანა 3.5. საკონსულტაციო საბჭოს შექმნა

კომისიის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, კომისიის დებულების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში იქნება საკონსულტაციო საბჭო.

საკონსულტაციო საბჭოს მუშაობა განსაზღვრულია კომისიის დებულებით.

ამოცანა 3.6. თანამშრომლობა გარე აქტორებთან და კარგი პრაქტიკის გაზიარება

კომისია აქტიურად თანამშრომლობს როგორც იმერეთის რეგიონის, ასევე სხვა რეგიონების მუნიციპალიტეტების საკრებულოების საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებთან. ეცნობა მათ მიერ დანერგილ კარგ პრაქტიკას და ნერგავს საუკეთესო გამოცდილებას. ამასთან ინტერმუნიციპალური თანამშრომლობა ხელს შეუწყობს არსებულ გამოწვევებზე დისკუსიის გაშლას და ეფექტურ გადაწყვეტილებების მოძიებას.

კომისია თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მათი ჩართულობით ეცნობა დასავლეთში დანერგილ კარგ პრაქტიკებს.

კომისია, ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, იღებს საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკურ და მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას და უფლებამოსილია გაითვალისწინეოს მათი რეკომენდაციები.

სტრატეგიული მიზანი 4. მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა

ამოცანა 4.1. დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და მონაცემთა ბაზის მომზადება

საკრებულოს და კომისიის მუშაობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობისთვის საკრებულოს აპარატის მიერ ხდება დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება.

საკრებულოს აპარატი მოიძიებს მუნიციპალიტეტში მოქმედი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების თუ აქტიური მოქალაქეების შესახებ ინფორმაციას და ამზადებს დაინტერესებულ მხარეთა ბაზას, სადაც მითითებული იქნება ორგანიზაციის/ინტერესთა ჯგუფის საკონტაქტო ინფორმაცია: ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ელექტრონული ფოსტა, ტელეფონის ნომერი, ფაქტობრივი მისამართი.

კომისიის თავმჯდომარე თხოვნით მიმართავს აპარატს, რომ გაუზიაროს იმ სუბიექტების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც საბიუჯეტო პროცესში მონაწილეობით არიან დაინტერესებულნი.

კომისიის თავმჯდომარის სახელით აპარატი ყველა იდენტიფიცირებულ სუბიექტს უგზავნის ელექტრონული წერილს ან ტელეფონის საშუალებით სთავაზობს კომისიათან

თანამშრომლობას. მათი თანხმობის შემთხვევაში კომისია ადგენს დაინტერესებულ მხარეთა ნუსხას.

კომისიის თავმჯდომარის კოორდინაციით საკრებულოს აპარატის სპეციალისტი ზემოაღნიშნულ ნუსხაში მყოფ ყველა სუბიექტს უგზავნის კომისიის შესახებ ყველა საჯარო ინფორმაციას, ასევე მონაწილეობის მისაღებად იწვევს კომისიის სხდომებზე, დაგეგმილი სამუშაო შეხვედრებსა და საჯარო განხილვებზე.

ამოცანა 4.2. მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა ბიუჯეტის ფორმირების პროცესში

კომისია სხვადასხვა ფორმატით თანამშრომლობს მოქალაქეებთან და სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან, ახდენს მათი საჭიროებების იდენტიფიცირებას.

კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კომისიის სხდომებზე მოქალაქეთა მონაწილეობას და სიტყვით გამოსვლას.

კომისია უფლებამოსილია ხელი შეუწყოს პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის საჯარო განხილვებში მოქალაქეთა მონაწილეობას:

- პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსიის საჯარო განხილვაში დაინტერესებული პირების მოწვევა;
- საკრებულოში ბიუჯეტის პროექტის წარდგენის შემდეგ საჯარო განხილვაში დაინტერესებული პირების მონაწილეობის ხელშეწყობა: მათი მოწვევა და გამოთქმული მოსაზრებების ჩანიშვნა და სისტემატიზაცია;
- ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის თაობაზე საჯარო განხილვის ორგანიზება და დაინტერესებული პირების მონაწილეობის ხელშეწყობა: მათი მოწვევა და გამოთქმული მოსაზრებების ჩანიშვნა და სისტემატიზაცია;

ამოცანა 4.3. მოქალაქის გზამკვლევის მომზადებაში ჩართულობა

კომისია თანამშრომლობს მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურთან წლიური ბიუჯეტის თაობაზე მოქალაქის გზამკვლევის მომზადების პროცესში.

კომისია მონაწილეობს ბიუჯეტის წლიური შესრულების თაობაზე მოქალაქისთვის გამარტივებული გზამკვლევის მომზადებაში.

ამოცანა 4.4. აკადემიურ სფეროსთან, სამოქალაქო სექტორთან და კვლევით ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

კომისია თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან და პროფესიულ კოლეჯებთან, სამოქალაქო სექტორთან და კვლევით ორგანიზაციებთან. ეცნობა მათ მიერ ჩატარებულ კვლევებს. საკრებულოსა და აკადემიური დაწესებულებების თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის საჭიროების შემთხვევაში ფორმდება მემორანდუმები.

კომისია უფლებამოსილია ხელი შეუწყოს საკრებულოს ეგიდითა და აკადემიური წრეების ჩართულობით კონფერენციებისა და თემატური შეხვედრების ჩატარებას.

სტრატეგიული მიზანი 5. კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა

ამოცანა 5.1. კომისიის საქმიანობის ანგარიშვალდებულების გაზრდა

კომისია ამზადებს საქმიანობის წლიურ ანგარიშს. კომისიის სხდომაზე ხდება ანგარიშის განიხილვა და კომისიის თავმჯდომარეს ეძლევა რეკომენდაცია საკრებულოს სხდომაზე წარსადგენად.

კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს სხდომაზე წარადგენს მომზადებულ წლიურ ანგარიშს. კოორდინაციას უწევს საკრებულოს სხდომაზე დაინტერესებული პირების მოწვევას და ჩართულობას.

ამასთან კომისიის წევრები ამომრჩევლისთვის წლიური ანგარიშის წარდგენის დროს ყურადღებას ამახვილებენ კომისიაში მათ მიერ გაწეულ საქმიანობაზე.

ამოცანა 5.2. კომისიის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა

კომისიის რეპუტაციისა და სანდოობის ამაღლების, მისი ცნობადობის გაზრდისა და საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისათვის საჭიროა:

- კომისიის სხდომების აუდიო/ვიდეო ჩანაწერის გაკეთება;
- საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდსა და Facebook გვერდზე კომისიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის განთავსება;
- კომისიის სხდომის ჩატარების თაობაზე ინფორმაციის განთავსება ელექტრონულ პლატფორმებზე;
- დაინტერესებული პირებისთვის ელექტრონული ფოსტით ინფორმაციის გაგზავნა კომისიის სხდომის ჩატარების თაობაზე, სადაც აღნიშნული იქნება კომისიის ჩატარების დრო, ადგილი და დღის წესრიგი.

ამოცანა 5.3. კომისიის დოკუმენტების პროაქტიული გამოქვეყნების უზრუნველყოფა

კომისიის თავმჯდომარე კოორდინაციას უწევს კომისიის მიერ მომზადებული დოკუმენტების მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას:

- კომისიის სხდომის ოქმების გამოქვეყნება;
- კომისიის წლიური ანგარიშის გამოქვეყნება და დაინტერესებული პირებისთვის ელექტრონულ ფოსტის საშუალებით გაზიარება;

- კომისიის მიერ მომზადებული პრიორიტეტების ნუსხისა და საბიუჯეტო ინიციატივების გამოქვეყნება;
- ბიუჯეტის პროექტზე კომისიის მიერ მომზადებული დასკვნის გამოქვეყნება;
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე კომისიის მიერ მომზადებული დასკვნის გამოქვეყნება;
- სახელმწიფო აუდიტის დასვნის თაობაზე კომისიის მიერ მომზადებული რეკომენდაციების გამოქვეყნება;
- აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტების თაობაზე კომისიის მიერ მომზადებული რეკომენდაციების გამოქვეყნება;
- მერიის სამსახურებისა და იურიდიული პირების საქმიანობის ანგარიშის თაობაზე მომზადებული რეკომენდაციების გამოქვეყნება;
- და სხვა დოკუმენტები.

ამოცანა 5.4. მოქალაქის საბიუჯეტო გზამკვლევის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

კომისია კოორდინაციას უწევს წლიური ბიუჯეტის თაობაზე მოქალაქეთა გზამკვლევის საკრებულოს აპარატის მიერ გამოქვეყნებას. კომისია კოორდინაციას უწევს ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის თაობაზე მოქალაქეთა გზამკვლევის საკრებულოს აპარატის მიერ გამოქვეყნებას.

სამოქმედო გეგმა 2024-2025

მიზანი 1.	**საბიუჯეტო პროცესში კომისიის ეფექტიანი მონაწილეობა**				
ამოცანა 1.1.	**მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში კომისიის ჩართულობის უზრუნველყოფა**				
აქტივობები		**ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი პირი**	**სხვა მონაწილე მხარე**	**განხორციელების პერიოდი**
აქტივობა 1.1.1.	მერიაში შექმნილი პრიორიტეტების სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში კომისიის თავმჯდომარის ჩართვის მოთხოვნა	საკრებულოდან მერიაში გაგზავნილი მოთხოვა; მერიის 1 მარტის ბრძანება	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი; მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი	2025 წელი 1 მარტი
აქტივობა 1.1.2.	კომისიის თავმჯდომარის სამუშაო ჯგუფის სხდომებში მონაწილეობა	სამუშაო ჯგუფის სხდომების რაოდენობა, რომელშიც მონაწილეობას კომისიის თავმჯდომარე; სხდომის ოქმები	კომისიის თავმჯდომარე	პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფი	2024/2025 წელი
ამოცანა 1.2.	**საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მოქალაქეთა საჭიროებების იდენტიფიცირება, საკითხების პრიორიტეტიზაცია და საბიუჯეტო ინიციატივების მომზადება**				
აქტივობა 1.2.1.	მოსახლეობისთვის პრიორიტეტული საკითხების იდენტიფიცირება და რეკომენდაციების მომზადება და საკრებულოს აპარატისთვის მიწოდება	მომზადებული რეკომენდაციები	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი ივლისი
აქტივობა 1.2.2.	საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ სხვადასხვა კომისიების მიერ მომზადებული რეკომენდაციების შეჯერება და საკრებულოს აპარატისთვის მიწოდება	აპარატში დარეგისტირირებული დოკუმენტი	კომისიის თავმჯდომარე	დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეები; საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი ივლისი-აგვისტო

აქტივობა 1.2.3.	მომზადებული რეკომენდაციების აღმასრულებელი ორგანოსთვის მიწოდება	მერიაში გაგზავნილი წერილი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი ივლისი-აგვისტო
აქტივობა 1.2.4.	კომისიის მიერ საბიუჯეტო ინიციატივების მომზადება	მომზადებული ინიციატივების რაოდენობა	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი;	2024/2025 წელი სექტემბერი
აქტივობა 1.2.5.	საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დარგობრივ კომისიებთან კოორდინაცია მათ მიერ საბიუჯეტო ინიციატივების მომზადების პროცესში, ინიციატივების შეჯერება და საკრებულოს აპარატისთვის მიწოდება	აპარატში დარეგისტირირებული ინიციატივების რაოდენობა	კომისიის თავმჯდომარე	დარგობრივი კომისიები; საკრებულოს აპარატი;	2024/2025 წელი სექტემბერი
აქტივობა 1.2.6.	საბიუჯეტო ინიციატივების აღმასრულებელი ორგანოსთვის წარდგენა	მერიაში წარდგენილი ინიციატივების რაოდენობა	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი სექტემბერი-ოქტომბერი
ამოცანა 1.3.	**მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსიის საკრებულოში განხილვის ხელშეწყობა**				
აქტივობა 1.3.1.	საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსიის გამოთხოვა მერიიდან	მერიაში წარდგენილი წერილი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი სექტემბერი
აქტივობა 1.3.2.	საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსიის კომისიაში განხილვა და ანალიზის გაკეთება, რამდენად არის საკრებულოს რეკომენდაციები ასახური დოკუმენტში	ჩატარებული შეხვედრა; მომზადებული დოკუმენტი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი სექტემბერი

აქტივობა 1.3.3.	კომისიის მიერ მომზადებული ანალიზის დარგობრივი კომისიებისთვის გაცნობა	ჩატარებული შეხვედრა; გაზიარებული დოკუმენტი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი; დარგობრივი კომისიები	2024/2025 წელი სექტემბერი
აქტივობა 1.3.4.	პრიორიტეტების პირველადი ვერსიის საჯარო განხილვის ორგანიზებაში მონაწილეობა და კომისიის თავმჯდომარის მიერ საჯარო განხილვაზე საკრებულოს რეკომენდაციების კიდევ ერთხელ წარდგენა	ჩატარებული განხილვის ოქმი; დამსწრეთა რაოდენობა	კომისიის თავმჯდომარე	დარგობრივი კომისიები; საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი სექტემბერი-ოქტომბერი
ამოცანა 1.4.	**საკრებულოში პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის კოორდინაცია**				
აქტივობა 1.4.1.	კომისიის მიერ ბიუჯეტის პროექტის განხილვა	ჩატარებული სხდომა; კომისის სხდომის ოქმი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი 25 ნოემბრამდე
აქტივობა 1.4.2.	კომისიის მიერ ბიუჯეტის პროექტზე სხვა კომისიების მიერ მომზადებული რეკომენდაციების ანალიზი და დასკვნის მომზადება	მომზადებული დასკვნა	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი 25 ნოემბრამდე
აქტივობა 1.4.3	საკრებულოს აპარატისთვის ბიუჯეტის პროექტის თაობაზე რეკომენდაციების მიწოდება	აპარატში დარეგისტირირებული დოკუმენტი	კომისიის თავმჯდომარე;	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი 25 ნოემბრამდე
აქტივობა 1.4.4.	ბიუჯეტის პროექტის მეორე წარდგენის შემდეგ კომისიის მიერ მისი ანალიზი	მომზადებული დოკუმენტი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი 10 დეკემბრიდან
აქტივობა 1.4.5.	ბიუჯეტის პროექტის საკრებულოს სხდომაზე კომისიის თავმჯდომარის გამოსვლა	საკრებულოს სხომის ოქმი	კომისიის თავმჯდომარე	მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი; საკრებულოს თავმჯდომარე	2024/2025 წელი დეკემბერი

აქტივობა 1.4.6.	ბიუჯეტში ცვლილებების პროექტის განხილვა და რეკომენდაციის მომზადება	მომზადებული რეკომენდაცია; კომისიის სხდომის ოქმი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
აქტივობა 1.4.7.	ბიუჯეტის ცვლილების თაობაზე საკრებულოს სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მიერ დასკვნის წარდგენა	საკრებულოს სხდომის ოქმი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
სტრატეგიული მიზანი 2.	**კომისიის საზედამხედველო საქმიანობის გაუმჯობესება**				
ამოცანა 2.1.	**ბიუჯეტის შესრულების კონტროლი**				
აქტივობა 2.1.1.	კომისიის მიერ ბიუჯეტის კვარტალური შესრულების ანგარიშების განხილვა და დასკვნების მომზადება	მომზადებული დასკვნა; სხდომის ოქმი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი კვარტალში ერთხელ
აქტივობა 2.1.2.	კვარტალურ ანგარიშთან ერთად პროგრამების შესრულების ანგარიშის გამოთხოვა მერიის საფინანსო-სამსახურიდან და რეკომენდაციების მომზადება	მერიაში გაგზავნილი წერილი; მომზადებული რეკომენდაციები	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი კვარტალში ერთხელ
აქტივობა 2.1.3.	კომისიის მიერ მომზადებული დასკვნის დარგობრივი კომისიებისთვის გაზიარება და საკრებულოს სხდომაზე წარდგენა	საკრებულოს სხდომის ოქმი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი; დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეები	2024/2025 წელი კვარტალში ერთხელ
აქტივობა 2.1.4.	ბიუჯეტის წლიური ანგარიშის კომისიის სხდომაზე განხილვა და რეკომენდაციების მომზადება	მომზადებული დასკვნა; კომისიის სხდომის ოქმი;	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2025 წელი მარტი-აპრილი
აქტივობა 2.1.5	კომისიის თავმჯდომარის მიერ მომზადებული დასკვნის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა	საკრებულოს სხდომის ოქმი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2025 წელი მარტი-აპრილი

ამოცანა 2.2.	**აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადებული სხვადასხვა დოკუმენტების განხილვა და შესრულების მონიტორინგი**				
აქტივობა 2.2.1.	კომისიის ჩართულობა აღმასრულებელი ორგანოს პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების პროცესში	დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები	კომისიის თავმჯდომარე; კომისიის წევრები	საკრებულოს აპარატი; მერია	2024/2025 წელი
აქტივობა 2.2.2.	აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტების განხილვა და რეკომენდაციების მომზადება	სხდომის ოქმები; მომზადებული რეკომენდაციები	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი; სპეციალისტი	2024/2025 წელი
აქტივობა 2.2.3.	აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადებული და საკრებულოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტების იმპლემენტაციის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა მერიიდან	წერილი დოკუმენტების გამოთხოვის თაობაზე	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
აქტივობა 2.2.4.	კომისია სხდომაზე პოლიტიკის დოკუმენტების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების აღსრულების თაობაზე შესაბამისი თანამდებობის პირის ანგარიშების მოსმენა, დასკვნის მომზადება და საკრებულოს სხდომა წარდგენა	კომისიის სხდომის ოქმი; მომზადებული დასკვნა; საკრებულოს სხდომის ოქმი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი; მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები	2024/2025 წელი
ამოცანა 2.3.	**მერიის სტრუქტურული ერთეულების ზედამხედველობის გაუმჯობესება**				
აქტივობა 2.3.1.	მერიის სამსახურების ანგარიშების მოსმენის განრიგის მომზადება	მომზადებული განრიგი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი; სპეციალისტი;	2024/2025 წელი
აქტივობა 2.3.2.	მერიის დარგობრივი სამსახურების ანგარიშების მოსმენა კომისიის სხდომაზე	სხდომის ოქმი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი;	2024/2025 წელი

				მერიის სამსახურების უფროსები	
აქტივობა 2.3.3.	სამსახურის ანგარიშის მოსმენის შემდეგ კომისიის მიერ რეკომენდაციების მომზადება და საკრებულოს თავმჯდომარისთვის გაზიარება, ხოლო მის მიერ აღმასრულებელ ორგანოსთვის გაგზავნა	მომზადებული რეკომენდაციები	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს თავმჯდომარე; საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
ამოცანა 2.4.	**მერიის იურიდიული პირების ზედამხედველობის გაუმჯობესება**				
აქტივობა 2.4.1.	მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ანგარიშების მოსმენის განრიგის მომზადება	მომზადებული განრიგი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
აქტივობა 2.4.2.	მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ანგარიშების მოსმენა კომისიის სხდომაზე	სხდომის ოქმი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი; მერიის იურიდიული პირების ხელმძღვანელები	2024/2025 წელი
აქტივობა 2.4.3.	მერიის იურიდიული პირების ანგარიშის მოსმენის შემდეგ კომისიის მიერ რეკომენდაციების მომზადება და საკრებულოს თავმჯდომარისთვის გაზიარება, ხოლო მის მიერ აღმასრულებელ ორგანოსთვის გაგზავნა	მომზადებული რეკომენდაციები	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს თავმჯდომარე; საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
ამოცანა 2.5.	**აუდიტის ანგარიშების განხილვა**				
აქტივობა 2.5.1.	კომისია აქტიურად თანამშრომლობს მერიის შიდა აუდიტის სამსახურთან, ისმენს სამსახურის უფროსის ანგარიშს, გამოითხოვს და განიხილავს მის მიერ მომზადებულ დასკვნებს	კომისიის სხდომის ოქმი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი; შიდა აუდიტის სამსახური	2024/2025 წელი

აქტივობა 2.5.2.	საკრებულოს სხდომაზე კომისიის წინადადებების წარდგენა	საკრებულოს სხდომის ოქმი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
აქტივობა 2.5.3.	კომისია განიხილავს სახელმწიფო აუდიტის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს	კომისიის სხდომის ოქმი	კომისიის თავმჯდომარე;	საკრებულოს აპარატი;	2024/2025 წელი
აქტივობა 2.5.4.	კომისიის სხდომაზე ასევე მოწვეული არიან იმ სამსახურების ან/და საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთა საქმიანობაც უარყოფითად იყო შეფასებული დასკვნაში. სხდომაზე გამოთქმული წინადადებების საფუძველზე რეკომენდაციების მომზადება	კომისიის სხდომის ოქმი; მოწვეული სამსახურების/ ა (ა)იპ-ების რაოდენობა; მომზადებული რეკომენდაციები	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
აქტივობა 2.5.5.	კომისიის თავმჯდომარე რეკომენდაციებს წარადგენს საკრებულოს სხდომაზე	საკრებულოს სხდომის ოქმი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
სტრატეგიული მიზანი 3.	**საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინსტიტუციური გაძლიერება**				
ამოცანა 3.1.	**კომისიის დებულების ცვლილება**				
აქტივობა 3.1.1.	კომისიის დებულების განხილვა და ცვლილებების პროექტის მომზადება	მომზადებული ცვლილებები; კომისიის სხდომის ოქმი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024 წელი
აქტივობა 3.1.2.	კომისიის დებულების ცვლილების პროექტის ინიცირება საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნის შესაბამისად	კომისიის დებულების ცვლილების პროექტი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი; საკრებულოს ბიურო	2024 წელი
ამოცანა 3.2.	**კომისიაში თემატური სამუშაო ჯგუფების შექმნა**				
აქტივობა 3.2.1.	კომისიაში თემატური სამუშაო ჯგუფების შექმნა საჭიროებების გათვალისწინებით; სამუშაო ჯგუფებში ყველა პოლიტიკური	სამუშაო ჯგუფების რაოდენობა	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი

	ძალის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა				
ამოცანა 3.3.	**შიდა კოორდინაციის ხელშეწყობა**				
აქტივობა 3.3.1.	კომისიაში წარმოდგენილი ყველა პოლიტიკური ჯგუფის თანაბარ მონაწილეობა კომისიის საქმიანობაში	სხდომის ოქმები	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
აქტივობა 3.3.2.	დარგობრივ კომისიებთან კოორდინაცია; კომისიების ერთობლივი სხდომების ჩატარება	სხდომის ოქმები	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი; დარგობრივი კომისიის თავმჯდომარეები	2024/2025 წელი
აქტივობა 3.3.3.	მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან თანამშრომლობა - წერილობითი ურთიერთობა; სამუშაო შეხვედრები; კომისიის სხდომებზე საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოწვევა	სხდომის ოქმები	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი; მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი	2024/2025 წელი
ამოცანა 3.4.	**კომისიის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების უნარების გაძლიერება**				
აქტივობა 3.4.1.	კომისიის წევრებისა და აპარატის თანამშრომელთა უნარების გაძლიერების მიზნით საჭიროებათა კვლევის ორგანიზების კოორდინაცია	საჭიროებათა კვლევის კითხვარი	საკრებულოს აპარატი	კომისიის თავმჯდომარე	2024 წელი მესამე კვარტალი 2025 წელი პირველი კვარტალი
აქტივობა 3.4.2.	კომისიის წევრებისა და აპარატის თანამშრომელთა უნარების გაძლიერების მიზნით საჭიროებათა კვლევის ჩატარება და შედეგების ანალიზი	კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა; კვლევის შედეგები	საკრებულოს აპარატი	კომისიის თავმჯდომარე	2024 წელი მესამე კვარტალი 2025 წელი პირველი კვარტალი
აქტივობა 3.4.3.	ჩატარებული კვლევის საფუძველზე ტრენინგების თემატიკის განსაზღვრა	ტრენინგების ნუსხა და მოდული	საკრებულოს აპარატი	კომისიის თავმჯდომარე	2024 წელი მესამე კვარტალი 2025 წელი პირველი კვარტალი

აქტივობა 3.4.4.	ტრენინგების ორგანიზება; კომისიის წევრებისა და სხვა დარგობრივი კომისიების წევრებისა და აპარატის თანამშრომლების მოწვევა ტრენინგებზე	ორგანიზებული ტრენინგების რაოდენობა; ტრენინგების მონაწილეთა რაოდენობა	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი; დარგობრივი კომისიები	2024/2025 წელი
ამოცანა 3.5.	**საკონსულტაციო საბჭოს შექმნა**				
აქტივობა 3.5.1.	საჭიროების შემთხვევაში დებულების შესაბამისად საკონსულტაციო საბჭოს შექმნა და ჯგუფში დაინტერესებული პირების მოწვევა	საკონსულტაციო საბჭოს წევრების რაოდენობა	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024 წელი
აქტივობა 3.5.2.	კომისიის თანამშრომლობა საკონსულტაციო საბჭოსთან და სამუშაო შეხვედრების ჩატარება	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა; სამუშაო შეხვედრების ოქმები	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი; საკონსულტაციო საბჭოს წევრები	2024/2025 წელი
ამოცანა 3.6.	**თანამშრომლობა გარე აქტორებთან და კარგი პრაქტიკის გაზიარება**				
აქტივობა 3.6.1.	იმერეთის რეგიონის, ასევე სხვა რეგიონების მუნიციპალიტეტების საკრებულოების საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებთან თანამშრომლობა	შეხვედრის დღის წესრიგი; შეხვედრის ოქმები	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი; სხვა მუნიციპალიტეტების საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების თავმჯდომარეები	2024/2025 წელი
აქტივობა 3.6.2.	საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და დასავლეთში დანერგილი კარგ პრაქტიკების გაცნობა	შეხვედრის ოქმები	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი; საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები	2024/2025 წელი
სტრატეგიული მიზანი 4.	**მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა**				
ამოცანა 4.1.	**დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და მონაცემთა ბაზის მომზადება**				

აქტივობა 4.1.1.	საკრებულოს აპარატის მიერ დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირების სამუშაოები	მონაცემთა ბაზები	საკრებულოს აპარატი	კომისიის თავმჯდომარე	2024 წელი
აქტივობა 4.1.2.	კომისიის საქმიანობაში ჩართულობით დაინტერესებული სუბიექტების ნუსხის მომზადება	დაინტერესებულ მხარეთა ნუსხა; იდენტიფიცირებული ჯგუფებისა და ინდივიდუალური პირების რაოდენობა	საკრებულოს აპარატი	კომისიის თავმჯდომარე	2024 წელი
აქტივობა 4.1.3.	დაინტერესებული მხარეების მოწვევა კომისიის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში	მოწვეული დაინტერესებული პირების რაოდენობა	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024 წელი
ამოცანა 4.2.	*მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა ბიუჯეტის ფორმირების პროცესში*				
აქტივობა 4.2.1.	კომისიის სამუშაო შეხვედრები მოქალაქეებთან და სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან მათი საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით	შეხვედრის ოქმები	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი ივლისი-სექტემბერი
აქტივობა 4.2.2.	კომისიის მიერ გასვლით შეხვედრების ჩატარება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა	შეხვედრის ოქმები	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი ივლისი-სექტემბერი
აქტივობა 4.2.3.	კომისიის სხდომებზე მოქალაქეთა მონაწილეობის და სიტყვით გამოსვლის უზრუნველყოფა	სხდომების რაოდენობა, რომელსაც დაინტერესებული პირები ესწრებიან; სხდომის ოქმები	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
აქტივობა 4.2.4.	პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსიის საჯარო განხილვაში დაინტერესებული	მოწვეული პირების რაოდენობა; საჯარო განხილვის ოქმი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი სექტემბერი-ოქტომბერი

	პირების მოწვევის კოორდინაცია				
აქტივობა 4.2.5.	საკრებულოში ბიუჯეტის პროექტის წარდგენის შემდეგ საჯარო განხილვაში დაინტერესებული პირების მონაწილეობის ხელშეწყობა: მათი მოწვევა და გამოთქმული მოსაზრებების ჩანიშვნა და სისტემატიზაცია	მოწვეული პირების რაოდენობა; საჯარო განხილვის ოქმი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი ნოემბერი-დეკემბერი
აქტივობა 4.2.6.	ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის თაობაზე საჯარო განხილვის ორგანიზება და დაინტერესებული პირების მონაწილეობის ხელშეწყობა: მათი მოწვევა და გამოთქმული მოსაზრებების ჩანიშვნა და სისტემატიზაცია;	გაგზავნილი წერილები; საჯარო განხილვის ოქმი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2025 წელი მარტი-აპრილი
ამოცანა 4.3.	**მოქალაქის გზამკვლევის მომზადებაში ჩართულობა**				
აქტივობა 4.3.1.	მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან თანამშრომლობით ბიუჯეტის თაობაზე მოქალაქის გზამკვლევის მომზადება	მომზადებული მოქალაქის გზამკვლევი	კომისიის თავმჯდომარე	მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი	2024/2025 წელი დეკემბერი
აქტივობა 4.3.2	მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან თანამშრომლობით ბიუჯეტის წლიური შესრულების თაობაზე მოქალაქისთვის გამარტივებული გზამკვლევის მომზადება	მომზადებული მოქალაქის გზამკვლევი	კომისიის თავმჯდომარე	მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი	2024/2025 წელი მარტი-აპრილი
ამოცანა 4.4.	**აკადემიურ სფეროსთან, სამოქალაქო სექტორთან და კვლევით ორგანიზაციებთან თანამშრომლობა**				

აქტივობა 4.4.1.	კომისიის თანამშრომლობა ქუთაისსა და სხვა ქალაქებში მოქმედ უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებთან, სამოქალაქო სექტორთან და კვლევით ორგანიზაციებთან; მემორანდუმების გაფორმება	ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების რაოდენობა	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი; უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები; კვლევითი ორგანიზაციები; სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები	2024/2025 წელი
აქტივობა 4.4.2.	აკადემიური წრეების, სამოქალაქო სექტორისა და კვლევითი ორგანიზაციების ჩართულობით სხვადასხვა კვლევების, კონფერენციებისა და თემატური შეხვედრების ორგანიზება	შეხვედრების ოქმები	კომისიის თავმჯდომარე	ქუთაისში მოქმედი უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები; კვლევითი ორგანიზაციები; სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები	2024/2025 წელი
სტრატეგიული მიზანი 5.	**კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა**				
ამოცანა 5.1.	**კომისიის ანგარიშვალდებულების გაზრდა**				
აქტივობა 5.1.1.	კომისიის მიერ წლიური საქმიანობის ანგარიშის მომზადება	მომზადებული წლიური ანგარიში	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
აქტივობა 5.1.2.	კომისიის მიერ წლიური საქმიანობის ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა	კომისიის სხდომის ოქმი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
ამოცანა 5.2.	**კომისიის საქმიანობის შესახებ საზოგადოებისს ინფორმირებულობა**				
აქტივობა 5.2.1.	კომისიის სხდომების ვიდეო ჩაწერა	ჩანაწერების რაოდენობა	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
აქტივობა 5.2.2.	მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და საკრებულოს Facebook გვერდზე კომისიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის განთავსება	გამოქვეყნებული ინფორმაციის რაოდენობა	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი

აქტივობა 5.2.3.	კომისიის სხდომის ჩატარების თაობაზე ინფორმაციის განთავსება ელექტრონულ პლატფორმებზე	ოფიციალურ ვებ-გვერდსა და Facebook გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის რაოდენობა	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი;	2024/2025 წელი
აქტივობა 5.2.4.	დაინტერესებული პირებისთვის ელექტრონული ფოსტით ინფორმაციის გაგზავნა კომისიის სხდომის ჩატარების თაობაზე, სადაც აღნიშნული იქნება კომისიის ჩატარების დრო, ადგილი და დღის წესრიგი.	ელექტრონული ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინების სქრინები	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
ამოცანა 5.3.	**ოფიციალური დოკუმენტების გამოქვეყნების საჯაროობის უზრუნველყოფა**				
აქტივობა 5.3.1.	კომისიის სხდომის ოქმების გამოქვეყნება	ოფიციალურ ვებ-გვერდსა და Facebook გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის რაოდენობა	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
აქტივობა 5.3.2.	კომისიის წლიური ანგარიშის გამოქვეყნება	ოფიციალურ ვებ-გვერდსა და Facebook გვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
აქტივობა 5.3.3.	კომისიის მიერ მომზადებული პრიორიტეტების ნუსხისა და საბიუჯეტო ინიციატივების გამოქვეყნება	ოფიციალურ ვებ-გვერდსა და Facebook გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის რაოდენობა	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
აქტივობა 5.3.4.	ბიუჯეტის პროექტზე კომისიის მიერ მომზადებული დასკვნის გამოქვეყნება	ოფიციალურ ვებ-გვერდსა და Facebook გვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
აქტივობა 5.3.5.	ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე კომისიის მიერ მომზადებული დასკვნის გამოქვეყნება	ოფიციალურ ვებ-გვერდსა და Facebook გვერდზე გამოქვეყნებული დასკვნა	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი

აქტივობა 5.3.6.	სახელმწიფო აუდიტის დასვნის თაობაზე კომისიის მიერ მომზადებული რეკომენდაციების გამოქვეყნება	ოფიციალურ ვებ-გვერდსა და Facebook გვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
აქტივობა 5.3.7.	პოლიტიკის დოკუმენტების თაობაზე კომისიის მიერ მომზადებული რეკომენდაციების გამოქვეყნება	ოფიციალურ ვებ-გვერდსა და Facebook გვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
აქტივობა 5.3.8.	მერიის სამსახურებისა და იურიდიული პირების საქმიანობის ანგარიშის თაობაზე მომზადებული რეკომენდაციების გამოქვეყნება	ოფიციალურ ვებ-გვერდსა და Facebook გვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
ამოცანა 5.4.	**მოქალაქის საბიუჯეტო გზამკვლევის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**				
აქტივობა 5.4.1.	წლიური ბიუჯეტის თაობაზე მოქალაქეთა გზამკვლევის გამოქვეყნება	ოფიციალურ ვებ-გვერდსა და Facebook გვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი
აქტივობა 5.4.2.	ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის თაობაზე მოქალაქეთა გზამკვლევის გამოქვეყნება	ოფიციალურ ვებ-გვერდსა და Facebook გვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტი	კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს აპარატი	2024/2025 წელი